ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №2196714

ნომერი: AR1338829

თარიღი : 03.09.2015

გაცემის თარიღი : 18.09.2015

გაცნობის თარიღი : 18.09.2015

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , დასახლება დიდი დიღომი , მიკრო/რაიონი III , -ში 22 - ე კორპუსთან მისასვლელ გზასა და მე-14 კორპუსს შორის;

დამკვეთი-განმცხადებელი
- შოთა ქუთათელაძე პ/ნ 37001008060
- სამტრედია კ.ძნელაძის ქ. N 172

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 13/08/2015 წლის #2062993 გადაწყვეტილებაში ტექნიკური ხარვეზის გასწორების თაობაზე
ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს

03/09/2015 წლის #AR1338829 განცხადებით მომართა შოთა ქუთათელაძემ და მოითხოვა 13/08/2015 წლის #2062993 გადაწყვეტილებაში ასახულ ტექნიკურ–ეკონომიკურ მაჩვენებლებში დაშვებული ტექნიკური შეცდომის გასწორება.
სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, შეისწავლა საქმისთვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ 13/08/2015 წლის #2062993 გადაწყვეტილებით, ქ. თბილისში, დასახლება დიდი დიღომი, მიკრო/რაიონი III,-ში, 22-ე კორპუსთან მისასვლელ გზასა და მე-14 კორპუსს შორის, შპს "ლუმაქ ჯგუფი"-ს საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (ნაკვეთის საკადასტრო კოდი N01.10.08.006.034) შეთანხმდა მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის კორექტირებული არქიტექტურული პროექტი და გაიცა მშენებლობის ნებართვა. მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2015 წლის 13 აგვისტოდან 2016 წლის 13 აგვისტოს ჩათვლით.
დღეისათვის განმცხადებელი ითხოვს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 13/08/2015 წლის #2062993 გადაწყვეტილებაში ტექნიკური ხარვეზის გასწორებას და ტექნიკურ–ეკონომიკურ მაჩვენებლებში შემდეგი მონაცემების დაფიქსირებას: საცხოვრებელი ფართობი–5313,4 კვ.მ; საზაფხულო ფართობი–921,0 კვ.მ.
საპროექტო დოკუმენტაციის შესწავლის შედეგად, სამსახურმა დაადგინდა, რომ განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი შეცვლილი ტექნიკურ–ეკონომიკური მაჩვენებლები შესაბამისობაშია შეთანხმებულ არქიტექტურულ პროექტთან. ამასთან, ფართობების ცვალებადობის გამო, სამსახური მიზანშეწონილად მიიჩნევს გასწორდეს აგრეთვე საერთო ფართობი და დაფიქსირდეს 9016,6 კვ.მ.
საქართველოს ზოგადი ადმინისტარციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია მის მიერ გამოცემულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში გაასწოროს ტექნიკური, აგრეთვე გამოთვლის დროს დაშვებული შეცდომები.
ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე და 96-ე მუხლების შესაბამისად,
ვბრძანებ:

1. დაკმაყოფილდეს შოთა ქუთათელაძის 03/09/2015 წლის #AR1338829 განცხადება;
2. გასწორდეს ტექნიკური ხარვეზი ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 13/08/2015 წლის #2062993 გადაწყვეტილებაში და ტექნიკურ ეკონომიკურ მაჩვენებლებში დაფიქსირდეს შემდეგი მონაცემები: საცხოვრებელი ფართობი–5313,4 კვ.მ; საზაფხულო ფართობი–921,0 კვ.მ; საერთო ფართობი–9016,6 კვ.მ; სხვა მაჩვენებლები დარჩეს უცვლელი;
3. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნას სამსახურის 13/08/2015 წლის #2062993 გადაწყვეტილებასთან ერთად;
4. წინამდებარე ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონით დადგენილი წესით, ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის.: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლოს ხეივანი, მე–12 კილომეტრი, №6), ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.